



შპს „საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტი“

სტუდენტის სტატუსის და სასწავლო პროცესის  
მარეგულირებელი წესი

თბილისი

2013

## მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1 შპს „საქართველოს ბანკის“ სასწავლო უნივერსიტეტი“ სასწავლო პროცესის ძირითად მიზანს, სწავლების შედეგზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესის რეალიზებას ახორციელებს შემდეგი სახით:

- უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალისა და მოწვეულ სპეციალისტთა მიერ;
- უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას სათანადო ფინანსური და მატერიალური რესურსებით;
- ნერგავს სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების მრავალკომპონენტური სისტემას და იყენებს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საერთო სისტემას;
- უზრუნველყოფს სასწავლებელში ხარისხის სისტემის მუდმივ სრულყოფას.

1.2. სასწავლო პროცესი ექვემდებარება მუდმივ მონიტორინგს, განახლებასა და სრულყოფას;

1.3. წინამდებარე წესი არეგულირებს შპს „საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის“ (შემდგომში - სასწავლო უნივერსიტეტი) სასწავლო პროცესის ორგანიზების პროცედურულ საკითხებს, ადგენს სასწავლო პროცესის მონაწილეთა ურთიერთვალდებულებებსა და განსაზღვრავს სასწავლებლის აკადემიური საქმიანობის ერთიან მარეგულირებელ ნორმებს;

1.4. სტუდენტთა სტატუსისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (შემდგომში - წესი) შესასრულებლად სავალდებულოა სასწავლო პროცესის ყველა მონაწილისათვის.

## მუხლი 2. სწავლების ენა

2.1. უნივერსიტეტში სწავლების ენა არის ქართული, ინგლისურენოვანი კომპონენტებით.

### მუხლი 3. უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის მოპოვება

- 3.1. უნივერსიტეტი განახორციელებს საბაკალავრო და სამაგისტრო აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებს;
- 3.2. განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატში) სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხორციელდება მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა წესის შესაბამისად;
- 3.3. სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. პირი ვალდებულია გაიაროს ერთიანი ეროვნული / საერთო სამაგისტრო გამოცდები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად და აბიტურიენტთა ქულების რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე მოიპოვოს სასწავლებელში ჩარიცხვის უფლება;
- 3.4. უნივერსიტეტში ჩარიცხვის უფლების მოპოვების შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს სასწავლებლის მიერ ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადაში აბიტურიენტი ვალდებულია მიმართოს სასწავლებელს ჩარიცხვის თაობაზე;
- 3.5. სტუდენტთან დადებული გენერალური ხელშეკრულების საფუძველზე უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს სასწავლებელში სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ;
- 3.6. უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი სტუდენტების ჩარიცხვის თაობაზე იგზავნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში;
- 3.7. აბიტურიენტი, რომელიც ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადის ამოწურვამდე არ მიმართავს სასწავლებელს ადმინისტრაციული რეგისტრაციის გასავლელად, უფლებამოსილია მიმართოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის ერთიანი აქტის გამოცემიდან მომდევნო წლის ივნისამდე;
- 3.8. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტებს (უცხო ქვეყნის მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე ან საქართველოს მოქალაქე, რომელიც არანაკლებ ბოლო 2 წლის განმავლობაში ცხოვრობდა საზღვარგარეთ)

სასწავლებლის სტუდენტის სტატუსი მიენიჭება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, კერძოდ: სასწავლებელში საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს:

- ა) აბიტურიენტებს, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;
- ბ) სტუდენტებს, რომლებიც უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ ბოლო 2 ან მეტი წლის განმავლობაში და სწავლობენ უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

3.9. უნივერსიტეტში ჩარიცხვის მსურველი მე-3 მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული აბიტურიენტი მიმართავს სასწავლებელს, რომელიც ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას მისი სასწავლებელში ჩარიცხვის მიზანშეწონილობის თაობაზე და საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, გასცემს თანხმობის წერილს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარსადგენად;

3.10. უნივერსიტეტი უფლებამოსილია მოსთხოვოს აბიტურიენტს მისი საგანმანათლებლო დოკუმენტის ფორმალური ცნობა/აღიარება, ლეგალიზაცია ან/და აპოსტილით დამოწმება;

3.11. უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დოკუმენტის მქონე აბიტურიენტის ან სტუდენტის საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული აღიარების დოკუმენტის საფუძველზე იღებს შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება;

3.12. სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს: დიპლომირებულ და მასთან გათანაბრებულ პირს და ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს, რომელსაც გავლილი აქვს საერთო სამაგისტრო გამოცდები და ჩაბარებული აქვს სასწავლო უნივერსიტეტში მისაღები სამაგისტრო გამოცდა/გასაუბრება სპეციალობაში და უცხო ენაში (თუ არ აქვს უცხო ენის B2 დონის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი). პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება

სასწავლო უნივერსიტეტის მაგისტრატურაში მიღების წესის შესაბამისად, რასაც უზრუნველყოფს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი სკოლა.

- 3.13. უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ საგანში გამოცდა/გასაუბრების ჩაბარების მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტში მიმდინარეობს მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაცია რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადაში. რეგისტრაცია გრძელდება რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში;
- 3.14. მაგისტრანტობის კანდიდატთა ჩარიცხვა ხდება კვალიფიკაციის მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე და კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ (ვაჟების შემთხვევაში), აგრეთვე კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს 2 ფოტოსურათი (3X4), პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.
- 3.15. ჩარიცხვის წესის სრულად დაკმაყოფილების შემთხვევაში მაგისტრანტობის კანდიდატის ჩარიცხვაზე გამოიციემა რექტორის სამართლებრივი აქტი;
- 3.16. უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მქონე პირების შესახებ ინფორმაცია განთავსდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტუდენტური რეესტრის ბაზაში.
- 3.17. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის შეიძლება დადგენილ იქნეს საქართველოს მოქალაქეებისათვის დადგენილი სწავლის საფასურისაგან განსხვავებული ოდენობა;

#### **მუხლი 4. სტუდენტის სასწავლო ხელშეკრულება**

- 4.1. უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემთხვევაში პირი ვალდებულია სასწავლო უნივერსიტეტთან გააფორმოს სასწავლო ხელშეკრულება ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში;
- 4.2. სასწავლო ხელშეკრულება შევსებული და ხელმოწერილი უნდა იქნას უშუალოდ სტუდენტის მიერ;

4.3. სასწავლო ხელშეკრულება ფორმდება ორ ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი რჩება სტუდენტთან, ხოლო მეორე - ბარდება დეკანატში და ინახება სტუდენტის პირად საქმეში;

4.4. სასწავლო ხელშეკრულებაში მითითებულია:

- სტუდენტის პირადი ნომერი;
- გვარი, სახელი, მამის სახელი;
- აკადემიური წელი;
- სწავლების წელი;
- საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება.

### მუხლი 5. მობილობის წესით სასწავლებელში სტუდენტის ჩარიცხვა

5.1 უნივერსიტეტში მობილობის წესით სტუდენტის ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანების შესაბამისად;

5.2. მობილობის წესით სტუდენტის ჩარიცხვის შემთხვევაში, არსებული კანონმდებლობისა და სასწავლებლის რექტორის მიერ დამტკიცებული „ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა, მოდიფიკაციისა და კრედიტების აღიარების წესის“ მიხედვით, სკოლის საბჭოს მიერ დგინდება სტუდენტის მიერ სხვა სასწავლო დაწესებულებაში ათვისებული პროგრამისა და სასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობა, რის შედეგადაც განისაზღვრება სწავლების რომელი სემესტრიდან გააგრძელებს სტუდენტი სწავლას.

### მუხლი 6. მობილობის წესი

6.1. მობილობის უფლება აქვს პირს, რომლის დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის არის დაწესებულების სტუდენტი;

6.2. მობილობის უფლება ასევე აქვს პირს, რომელიც არის დაწესებულების სტუდენტი, მაგრამ ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს

დაწესებულების სტუდენტის სტატუსი, ასევე პირს, რომელმაც წარმატებით დაძლია ერთიანი ეროვნული გამოცდები და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებულ რანჟირების დოკუმენტში მითითებულ დაწესებულებას ჩარიცხვის მიზნით ვერ მიმართავს, ვინაიდან დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია ან საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება;

6.3. სტუდენტს უფლება აქვს განახორციელოს შიდა მობილობა, რაც რეგულირდება „საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, მოდიფიკაციისა და კრედიტების აღიარების წესით“ და მტკიცდება რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით, რომელიც ორი კვირის ვადაში აგზავნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს და აისახება რეესტრში.

## მუხლი 7. მობილობის პროცედურა

7.1. საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის მსურველის სტატუსს სტუდენტი მოიპოვებს სსიპ. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონულ პორტალზე;

7.2. თავისუფალი ადგილების რაოდენობის გამოთვლისას სასწავლებლისათვის განსაზღვრული ადგილების მაქსიმალურ რაოდენობას აკლდება დაწესებულებაში რიცხული სტუდენტების რაოდენობა, ერთიანი ეროვნული გამოცდებით სტუდენტების მისაღებად გამოცდების ეროვნულ ცენტრში რეგისტრირებული სტუდენტების რაოდენობა და ემატება დაწესებულებაში არსებული დამამთავრებელი სტუდენტების რაოდენობა (სტატუსშეჩერებული სტუდენტი არ განიხილება საერთო რაოდენობაში);

7.3. მობილობის ვაკანსიები საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და სსიპ. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის ელექტრონულ პორტალზე;



- 7.4. მობილობის გამოცხადების შემდეგ, სასწავლებლის რექტორი ადგენს ვადას, რომელშიც უნდა განხორციელდეს მობილობის მსურველთა მიერ დოკუმენტაციის სასწავლებელში წარმოდგენა, მათ მიერ ელექტრონული რეგისტრაციის გავლის პარალელურად;
- 7.5. მობილობის მსურველს ევალება წარმოადგინოს უნივერსიტეტის მიერ მობილობისათვის განსაზღვრული დოკუმენტაცია. მობილობის მსურველის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის აღიარების მოთხოვნის შემთხვევაში, მობილობის მსურველს მოეთხოვება აკადემიური ცნობის (ნიშნების ფურცლის), ხოლო საქიროების შემთხვევაში-დამატებითი დოკუმენტაციის სასწავლო გეგმა საათების მითითებით, სილაბუსის წარმოდგენა;
- 7.6. უნივერსიტეტი იხილავს სტუდენტის პირად საქმეს და იღებს გადაწყვეტილებას მობილობის მსურველის მიერ გავლილი პროგრამის აღიარების შესახებ ამ წესით დადგენილი პროცედურების დაცვით.

## **მუხლი 8. მობილობის შედეგები**

- 8.1. მობილობის მსურველი მოიპოვებს სასწავლებელში ჩარიცხვის უფლებას სსიპ. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მის ჩარიცხვაზე დადებითი დასკვნის შემთხვევაში;
- 8.2. მობილობით სტუდენტების ჩარიცხვის თაობაზე უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ბრძანებას. ბრძანება გამოცემიდან 2 სამუშაო დღის ვადაში აისახება რეესტრში, ხოლო 3 სამუშაო დღის ვადაში იგზავნება ცენტრში;

## **მუხლი 9. სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის განმარტება**

- 9.1. სტუდენტის სტატუსის შეჩერება არის სტუდენტისა და უნივერსიტეტის მიერ ერთმანეთის მიმართ სასწავლო პროცესით გათვალისწინებული უფლება მოვალეობების შესრულებისაგან დროებითი გათავისუფლება, რომელიც გამოწვეულია შესაბამისი მოვალეობების შეუსრულებლობით ან შესრულების მომავალი შეუძლებლობით;



9.2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა არის პირისათვის სტუდენტის სტატუსით მინიჭებული ყველა უფლება-მოვალეობებისგან გათავისუფლება;

## მუხლი 10. სტუდენტის სტატუსის შეჩერების წესი

10.1. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

- ა) აკადემიური შვებულება;
- ბ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა;
- გ) ფინანსური დავალიანება;
- დ) სტუდენტის ეთიკის კოდექსის დარღვევა;
- ე) ჯანმრთელობის მდგომარეობა;
- ვ) პირადი განცხადება;
- ზ) ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელიობა.

10.2. სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 წელი. სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, სტუდენტი სწავლას აგრძელებს ახალი ხელშეკრულების საფუძველზე იმ სემესტრიდან, რომლიდანაც შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი.

10.3. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ფორმდება უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით. სტუდენტის სტატუსის შეჩერება უნდა დაფიქსირდეს რეესტრში;

10.4. სტუდენტის სტატუსის შეჩერების დროის განმავლობაში, უნივერსიტეტი და სტუდენტი თავისუფლდებიან ურთიერთსანაცვლო უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან, გარდა იმ უფლებებისა და მოვალეობებისა, რომლებიც წარმოიშვა სტატუსის შეჩერებამდე;

10.5. სწავლების მეორე წლიდან, სტუდენტის სტატუსის შეჩერებული პირი სარგებლობს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის (მობილობის) უფლებით;

10.6. იმ შემთხვევაში, თუ ის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზედაც ირიცხებოდა სტუდენტი მისთვის სტატუსის შეჩერებამდე, გაუქმებულია ან შეცვლილია მისთვის სტუდენტის სტატუსის აღდგენის მომენტისათვის, სტუდენტი უფლებამოსილია სწავლა გააგრძელოს მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამით ან გადავიდეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით;

10.7. სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის შემდეგ პირს უწყდება სტუდენტის სტატუსი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა;

## მუხლი 11. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის წესი

11.1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

- ა) სწავლის პერიოდში 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სტატუსის შეჩერება;
- ბ) პირადი განცხადება;
- გ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;
- დ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შეუსრულებლობა აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად დადგენილ ვადებში;
- ე) კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის;
- ვ) გარდაცვალება;
- ზ) ეთიკის ნორმების დარღვევა.

11.2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ფორმდება უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით და წარმოადგენს სტუდენტთან დადებული ხელშეკრულების მოშლას, რაც არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების მოშლამდე წარმოშობილი და შეუსრულებელი ურთიერთვალდებულებებისგან;

11.3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 12 თვის შემდეგ, რა ვადაშიც პირი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით;

11.4. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახალი მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## მუხლი 12. სტუდენტის სტატუსის აღდგენა

- 12.1. სტატუს შეჩერებული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში, სტუდენტის სემესტრი განისაზღვრება მოქმედ პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის გზით (კრედიტების აღიარების წესის მიხედვით);
- 12.2. სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია სტუდენტის პირადი განცხადების საფუძველზე;
- 12.3. სტუდენტის სტატუსის აღდგენესთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც ამ წესით არ არის განსაზღვრული, რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## მუხლი 13. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემის ზოგადი აღწერა

- 13.1. საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დადგენილი წესის საფუძველზე;
- 13.2. კრედიტის დაგროვება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ შესაბამისად;

## მუხლი 14. სტუდენტის სასწავლო საქმიანობა

### 14.1. სტუდენტის დატვირთვა მოიცავს:

- ა) ლექციაზე დასწრებას, ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ და სასემინარო მეცადინეობას;
- ბ) დამოუკიდებელ მეცადინეობას;
- გ) სასწავლო, სამეცნიერო და საწარმოო პრაქტიკას;
- დ) გამოცდების მომზადება-ჩაბარებას;

ე) კვლევით ნაშრომზე მუშაობას.

- 14.2. სტუდენტთა საქმიანობის შესაფასებლად გამოიყენება კრედიტი – ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტის მიერ ერთი საგნის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას, გამოხატულს დროის ერთეულში – საათებში.
- 14.3. საკრედიტო სისტემის შესაბამისად, სტუდენტის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს, ხოლო ერთი კრედიტი მოიცავს სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვა) 25 ასტრონომიულ საათს, რაც შეესაბამება სასწავლო საქმიანობის 1500 ასტრონომიულ საათს ერთი სასწავლო წლის განმავლობაში;
- 14.4. კრედიტების განაწილება ხდება საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტს შორის. კრედიტი ასახავს სამუშაოს იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ კომპონენტის დასასრულებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად და მოიცავს როგორც სტუდენტის მიერ ორგანიზებულ გარემოში გატარებულ თეორიულ და პრაქტიკულ მუშაობას (საკონტაქტო საათები) ასევე, სტუდენტის მიერ ინდივიდუალურ მუშაობას (დამოუკიდებელი მუშაობის საათები);
- 14.5. კრედიტი არ შეიძლება იქნეს გაანგარიშებული მხოლოდ სტუდენტის მიერ პროფესორ-მასწავლებლებთან სასწავლო გარემოში გატარებული საათების (საკონტაქტო საათების) მიხედვით;
- 14.6. სტუდენტის წლიური დატვირთვა არ შეიძლება იყოს 75 კრედიტზე მეტი.

### **მუხლი 15. სტუდენტთა მიღწევების შეფასება**

- 15.1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ;
- 15.2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად – მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:
- ა) შუალედურ შეფასებებს;
  - ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

- 15.3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია;
- 15.4. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება არანაკლებ 51 ქულა;
- 15.5. შეფასების სისტემა უშვებს:
- ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:
    - ა.ა) (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
    - ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;
    - ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;
    - ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
    - ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%;
  - ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
    - ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
    - ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
- 15.6. შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე;
- 15.7. 41-დან 50 ქულამდე მიღების შემთხვევაში სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.
- 15.8. მიზანშეწონილია სტუდენტისათვის ერთ დღეს, ერთ სასწავლო კურსში დასკვნითი გამოცდის დანიშვნა;
- 15.9. ცოდნის შეფასებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას წერილობითი (კითხვარი, ქვიზები, ტესტი, ესე და სხვ.) ან / და ზეპირი გამოკითხვის ფორმები (დებატები,

პრეზენტაცია, და სხვა.). შეფასების კრიტერიუმები დაკონკრეტებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში;

- 15.10. სტუდენტის მიმდინარე და დასკვნითი შეფასებები აისახება ელექტრონულ ჟურნალში;
- 15.11. საპატიო მიზეზით ლექციის, შუალედური და დასკვნითი გამოცდის, გაცდენა დადასტურებული უნდა იქნას ოფიციალური, იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტით;
- 15.12. სტუდენტის მიერ შუასემესტრულ კომპონენტებში მიღებული შეფასებები ძალაში რჩება მხოლოდ მიმდინარე სემესტრის განმავლობაში, დამატებითი და დასკვნითი გამოცდების დასრულებამდე. მომდევნო სემესტრში ან კურსის თავიდან გავლის შემთხვევაში იმავე კურსის თავდაპირველი სწავლებისას მიღებული შუასემესტრული შეფასებები მხედველობაში აღარ მიიღება.

#### **მუხლი 16. სტუდენტის მიერ კრედიტების დაგროვება. დამატებითი სემესტრი**

- 16.1. სტუდენტის მიერ კრედიტების მიღება/დაგროვება შესაძლებელია მხოლოდ შესასრულებელი სამუშაოს წარმატებით დასრულების შედეგად;
- 16.2. სტუდენტს, რომელიც ჩაიჭრება სასწავლო კურსში, უფლება აქვს იგივე სასწავლო კურსი გაიაროს რამოდენიმეჯერ;
- 16.3. დამატებითი სემესტრის სწავლის საფასური განისაზღვრება, მიმდინარე სასწავლო წლისათვის რექტორის ბრძანებით დადგენილი ტარიფით;
- 16.4. სტუდენტის მიერ თითოეულ სემესტრში დაგროვილი კრედიტების რაოდენობა აღირიცხება სტუდენტის ელექტრონულ სასწავლო ბარათში.

#### **მუხლი 17. სასწავლებლის აკადემიური წელი**

- 17.1. აკადემიური წლის ხანგრძლივობა (დაწყების და დამთავრების თარიღები), ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადები მტკიცდება ყოველწლიურად აკადემიური კალენდრის სახით.

17.2. უნივერსიტეტი სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტების ათვისების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები საქართველოს ბაზარზე არსებულ კომპანიებთან ან / და საჯარო დაწესებულებებთან;

### **მუხლი 18. საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიკაცია / გაუქმება**

18.1. საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიკაცია / გაუქმების შემთხვევაში, სასწავლებლისათვის მნიშვნელოვანია სტუდენტთა პროგრამის შესაბამისი შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა;

18.2. პროგრამის მოდიფიკაციის შემთხვევაში, სასწავლებელი უზრუნველყოფს თითოეული სტუდენტისათვის შესაბამისობების განსაზღვრას არსებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გავლილი და მოდიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსებს შორის, ასევე საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტისათვის ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის შესაძლებლობას;

18.3. პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, სასწავლებელი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიღევად რეჟიმში სწავლებას.

18.4. საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიკაცია / გაუქმება შესაძლებელია:

- ა) იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე არ ირიცხება არც ერთი სტუდენტი;
- ბ) საგანმანათლებლო პროგრამა აღარ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს;
- გ) საგანმანათლებლო პროგრამის განხროციელება არ შეესაბამება სასწავლებლის მისიას;
- დ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევაში.

18.5. პროგრამის მოდიფიკაცია / გაუქმების შემთხვევაში, აცნობოს ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.



## **მუხლი 19. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევანის გამჭვირვალობა**

19.1. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების არჩევანის გამჭვირვალობის მიზნით, სტუდენტს შეუძლია და აქვს საშუალება გაეცნოს საგანმანათლებლო პროგრამას და სასწავლო კურსის პროგრამებს (სილაბუსი);

## **მუხლი 20. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსები**

20.1. საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის პროფესორებისა და მოწვეული პერსონალის მიერ;

20.2. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელად ინიშნება უნივერსიტეტის აკადემიური ან მოწვეული პერსონალი.

## **მუხლი 21. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება და კურსდამთავრებულისათვის კვალიფიკაციის მინიჭება**

21.1. საგანმანათლებლო პროგრამა დამთავრებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს საბაკალავრო პროგრამაზე შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ არანაკლებ 240 კრედიტს, ხოლო სამაგისტრო პროგრამაზე არანაკლებ 120 კრედიტს;

21.2. შესაბამისი საფეხურისთვის დადგენილი კრედიტების მოპოვების შემდეგ პირს ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია და ეძლევა სასწავლებლის რექტორის მიერ დამტკიცებული და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ასევე საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებული დადგენილი ფორმის დიპლომი და დიპლომის დანართი.

## მუხლი 22. სწავლის საფასური

- 22.1. სასწავლო პროგრამის ღირებულებას განსაზღვრავს უნივერსიტეტი;
- 22.2. სწავლის საფასურის გადახდა ხდება სემესტრულად/ტრიმესტრულად, ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში;
- 22.3. სახელმწიფო გრანტით ნაწილობრივი დაფინანსების მქონე სტუდენტებმა სახელმწიფო დაფინანსებასა და სწავლის რეალურ საფასურს შორის სხვაობა უნდა დაფარონ ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში;
- 22.4. სტატუსშეჩერებული სტუდენტისათვის სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შემთხვევაში, სწავლის საფასური განისაზღვრება სწავლის გაგრძელების მომენტისათვის არსებული გადასახადის შესაბამისად;
- 22.5. სტუდენტს უფლება აქვს, სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუმეტეს 1 კვირის ვადაში მოითხოვოს ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუქმება. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ იგი კარგავს გადახდილი თანხის დაბრუნების, ან მისი მომდევნო სემესტრებში გამოყენების მოთხოვნის უფლებას;
- 22.6. სტუდენტის მიერ ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა ნიშნავს მის მზაობას მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, შესაბამის სემესტრულ – შუალედურ და დასკვნით გამოცდებში.
- 22.7. სწავლების განსხვავებული საფასური ან / და გადახდის პირობები შესაძლებელია განსაზღვროს რექტორის ინდივიდუალურ - სამართლებრივი აქტით.

## მუხლი 23. სასწავლო ხელშეკრულება

- 23.1. უნივერსიტეტი სტუდენტთან დებს სასწავლო ხელშეკრულებას (კონტრაქტი).
- 23.2. სასწავლო ხელშეკრულება იდება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლების პერიოდის ვადით.
- 23.3. დაუშვებელია სასწავლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სწავლების ფასის თვითნებური გაზრდა სწავლების პერიოდის განმავლობაში;

- 23.4. სასწავლო ხელშეკრულება ხელმოწერილი უნდა იყოს უშუალოდ სტუდენტის მიერ, თუ სტუდენტი 18 წლის ასაკს მიუღწეველი პირია, ხელშეკრულებას ხელს აწერს მისი კანონიერი მეურვე;
- 23.5. სასწავლო ხელშეკრულება შესაბამისად ფორმდება ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი რჩება უნივერსიტეტს და ინახება სტუდენტის პირად საქმეში, ხოლო მეორე გადაეცემა სტუდენტს.

#### **მუხლი 24. დასკვნითი დებულებები**

- 24.1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტის რექტორის მიერ.
- 24.2. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

**რექტორი,**

**აკაკი ხელაძე**